ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 48 1
24/01/2020

1-48-4-202001241601

ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის ანგარიში 2019 წლის მანძილზე გაწეული მუშაობის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,გ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი პუნქტის, მეორე პუნქტისა და ,,ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 24 დეკემბრის №48 78 განკარგულების საფუძველზე, ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა:

მუხლი 1.

ცნობად იქნეს მიღებული ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის გიორგი ლომთაძის 2019 წელში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში თანდართული დანართის შესაბამისად.

მუხლი 2.

ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის გიორგი ლომთაძის 2019 წელში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში შეფასდეს დამაკმაყოფილებლად.

მუხლი 3.

განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია სასამართლოში კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 4.

განკარგულება ძალაში შევიდეს მიღებისთანავე.

ნატალია კობახიძე

საკრებულოს თავმჯდომარე
ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დანართი 1.

დამტკიცებულია:

ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

2020 წლის 24 იანვრის № 48 1 განკარგულებით

ანგარიში

ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერის
პირველი მოადგილის საქმიანობის შესახებ

01.01.2019-31.12.2019

ტყიბული, 2020 წელი.

სარჩევი

2019 წელს მერის პირველი მოადგილის ანგარიში გაწეული სამუშაოს შესახებ 3

სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური 3

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი 4

სოფლის მხარდაჭერის პროგრამა 4

საჯარო სკოლების მცირე რეაბილიტაციის პროგრამა.....5

სამედიცინო ამბულატორიების რეაბილიტაციის პროგრამა.....6

სტიქიის პრევენციის პროგრამა.....6

სტიქიის ლიკვიდაციის პროგრამა 7

მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდი. 8

2018 წლიდან გადმოსული პროექტი.....8

ადგილობრივი ბიუჯეტის პროგრამა 9

ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახური.....11

საფინანსო სამსახური.....21

ზედამხედველობის სამსახური.....23

მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, შეჩერებისა და აღდგენის მიზნით შექმნილი საბჭო 26

პირის ტყიბულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრების (ყოფნის) დამდგენი კომისია 27

ტყიბულის მუნიციპალიტეტის თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისია 27

2019 წელს მერის პირველი მოადგილის ანგარიში გაწეული სამუშაოს შესახებ

მოგახსენებთ, რომ ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 14 ნოემბრის № 47/1785 ბრძანების შესაბამისად დავინიშნე მერის პირველი მოადგილის თანამდებობაზე. ფუნქციათა განაწილების მიხედვით ვხელმძღვანელობ მერიის 4 სტრუქტურულ

ერთეულს: სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის, ეკონომიკისა და ქონების მართვის, საფინანსო და ზედამხედველობის სამსახურებს. ამავდროულად მერის ბრძანების შესაბამისად ვარ სხვადასხვა დროებითი თუ მუდმივმოქმედი კომისიის თავჯდომარე.

ტყიბულის მუნიციპალიტეტი არის მძიმე მრეწველობის რაიონი. სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კუთხით მუნიციპალიტეტს აქვს ბევრი გამოწვევა და პრობლემა. აღნიშნული პრობლემების გადასაჭრელად როგორც ცენტრალური ასევე ადგილობრივი ხელისუფლების მიერ ხორციელდება არაერთი პროექტი და პროგრამა, რომლებიც ყოველწლიურად მზარდია. ძირითად გამოწვევად რჩება ინფრასტრუქტურისა და ეკონომიკური დარგების განვითარება, რომელიც თავისთავად აისახება სოციალური ფონზე.

გასული წლის განმავლობაში დამეწერა და შესრულდა 5500 მეტი განცხადება და წერილი. 2019 წელს დასახული მიზნების მისაღწევად სამსახურების მიერ დაიგეგმა და განხორციელდა შესაბამისი ამოცანები:

სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური

სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახური წარმოადგენს ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული პროექტების მომზადება-განხორციელების კოორდინაციას, სივრცით-ტერიტორიულ დაგეგმვას, ქალაქმშენებლობითი დოკუმენტაციის, ტერიტორიის კეთილმოწყობის მუნიციპალური პროგრამებისა და პროექტების მომზადებას და მათ განსახორციელებლად რეკომენდაციებისა და წინადადებების შემუშავებას.

ადგილობრივი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ბიზნეს-სექტორში ინვესტიციების მოზიდვას, ტურიზმის განვითარებას, სამუშაო ადგილების შექმნას, ადგილობრივი წარმოების ზრდასა და შესაბამისად, მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას.

წინამდებარე ანგარიშის პროექტი ძირითადად მომზადდა იმ ვალდებულებების შესაბამისად, რომელიც 2018-2021 წლების საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამის განხორციელებისათვის შემუშავებულ სამოქმედო გეგმაშია გაწერილი. აღნიშნული დოკუმენტი მოწონებულ იქნა სამხარეო საკონსულტაციო საბჭოს მიერ 2018 წლის დეკემბრის თვეში.

მოცემული ანგარიში ძირითადად ეყრდნობა რ.გ.პ. ფონდის, მთის ფონდის და ადილობრივი ბიუჯეტის ფინანსირებულ ინფრასტრუქტურული სახის პროექტების მიმდინარეობას, რომელიც 2019 წლის პერიოდს მოიცავს.

აღსანიშნავია, რომ საქართველო მთავრობის გადაწყვეტილებით მუნიციპალიტეტებში დაბრუნდა სოფლის მხარდაჭერის პროგრამა, რაც ძირითადად ემსახურება სოფლის მოსახლეობის მიერ შერჩეული ინფრასტრუქტურული მიმართულებების განვითარებას, ორიენტირებული პირველად საჭიროებებზე.

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი

ფონდის ფარგლებში 2019 წლისათვის დაიგეგმა ხუთი ძირითადი ინფრასტრუქტურული პროექტი, რომლის შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 26 დეკემბრის # 2715 განკარგულების (საბოლოო რედაქცია) შესაბამისად, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოიყო 3 217 584 ლარი.

1. **სოფლების შიდა გზების ბეტონის საფარით მოწყობა- 1 896 929 ₾**
2. **ქ. ტყიბულში მრავალბინიანი კორპუსების ლიფტების რეაბილიტაცია - 328 724 ₾**
3. **ქალაქ ტყიბულის N2 საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია - 200 000 ₾**
4. **სოფელ გელათის საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია - 70 000 ₾**
5. **გელათის მონასტერთან მისასვლელი ძველი გზის რეაბილიტაცია - 721 930 ₾**

სოფლის მხარდაჭერის პროგრამა

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის # 654 დადგენილებით სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის შესაბამისად, დამტკიცდა „სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“, რომელიც ითვალისწინებს სოფლებისათვის სოციალურ–ეკონომიკური საჭიროებების დაფინანსებას მათ შორის, სხვადასხვა ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაციას და ამ პროცესში სოფლის მოსახლეობის მაქსიმალურ ჩართულობას.

საქართველოს მთავრობის დადგენილების მიხედვით, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ძირითადი მიზნებია :

- პროგრამით გათვალისწინებული თანხის წარმართვა სოფლის პირველი რიგის სოციალურ-ეკონომიკურ საჭიროებათა დასაფინანსებლად;
- ადგილობრივი პრობლემების გადაწყვეტა, უშუალოდ სოფლის მოსახლეობის მიერ დასახული პრიორიტეტების შესაბამისად;
- მოსახლეობასა და მუნიციპალიტეტს შორის ურთიერთკავშირის გაძლიერება.

2019 წელს „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში ტყიბულის მუნიციპალიტეტზე გამოყოფილმა თანხამ შეადგინა 532 000 ლარი. გამოყოფილი თანხები, სოფლის კრებებზე (კონსულტაციები) განსაზღვრული პრიორიტეტების მიხედვით, საჯარო განხილვის საფუძველზე გადანაწილდა 46 სოფელზე (სულ 97 პროექტი).

საანგარიშო პერიოდისათვის, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ განსაზღვრული პროექტები მთლიანად დასრულებულია.

საჯარო სკოლების მცირე რეაბილიტაციის პროგრამა

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 იანვრის # 13 განკარგულებით მონიჭებული დელეგირებული უფლებამოსილების შესაბამისად, ტყიბულის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში დაიგეგმა სხვადასხვა სახის 14 მცირე სარეაბილიტაციო სამუშაო, ღირებულებით 450 000 ლარი, რომელიც ძირითადად შეეხო სახურავების, სველი წერტილების, საკლასო ოთახების იატაკების რეაბილიტაციას და ცენტრალური გათბობის მოწყობის სამუშაოებს.

გაგაცნობთ პროექტების მიმდინარეობას:

შესასრულებელი სამუშაოები დაიყო რვა ლოტად, აქედან:

- კურსების სკოლის ეზოს სანიაღვრე არხის რეაბილიტაციის სამუშაოებს განახორციელა - შ.პ.ს. „მადლი 2019“(სახელშ.ღირ-ბა-26,626 ლ), სამუშაოები დასრულებულია;
- საწირის სკოლის ცენტრ. გათბობის სამუშაოებს ახორციელებდა - შ.პ.ს „ლედა მშენი“ (სახელშ.ღირ-ბა-57,946 ლ). სამუშაოები დასრულებულია.
- სკოლების სახურავების რეაბილიტაციის სამუშაოებს (ახალსოფ. მუხურა1, ტყ.#5) განახორციელა– შ.პ.ს „ელიტმშენი“(სახელშ.ღირ-ბა-52,500 ლ), სამუშაოები დასრულებულია;
- სკოლების დაზიანებული იატაკების რეაბილიტაციის სამუშაოებს(მუხურა2, ორპ. ძმუისი) ახორციელებდა – შ.პ.ს „ლედა მშენი“(სახელშ.ღირ-ბა-137,929 ლ). სამუშაოები დასრულებულია.
- გელათის სკოლის სახურავის რეაბილიტაციის სამუშაოებს ახორციელებდა - შ.პ.ს. „გიორგი“ (სახელშ.ღირ-ბა-24,997 ლ). სამუშაოები დასრულებულია.
- ჯვარისის სკოლის ეზოს შეღობვის სამუშაოებს ახორციელებდა - შ.პ.ს. „გუგატო“ (სახელშ.ღირ-ბა-9,997 ლ).სამუშაოები დასრულებულია ;
- სკოლების სველი წერტილების მოწყობა-რეაბილიტაციის(ძიროვ. #6, სოჩხ.) სამუშაოებს ახორციელებდა - შ.პ.ს. „იმერეთი 2017“ (სახელშ.ღირ-ბა-58,190 ლ). სამუშაოები დასრულებულია.
- ქალაქის N 1 საჯარო სკოლის აირგამათბობლის მოწყობის სამუშაოებს ახორციელებდა

- შ.პ.ს. „გიორგი“ (სახელშ.ღირ-ბა-24,790 ლ). სამუშაოები დასრულებულია.

სამედიცინო ამბულატორიების რეაბილიტაციის პროგრამა

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 27 თებერვლის # 120 დადგენილებით განსაზღვრული, ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის მოთხოვნების შესრულების მიზნით, დაიგეგმა სოფლებში არსებული რიგი სამედიცინო ამბულატორიების (სოფ. მუხურა, ცუცხვათი, გურნა, ორპირი, კურსები) სარემონტო სამუშაოები, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის სრული ღირებულება შეადგენს - 90 725 ლარს.

გამოვლინდა ტენდერში გამარჯვებული კომპანია შ.პ.ს. „მშენებელი ცუცხვათი“. დღეის მდგომარეობით, სამუშაოები დასრულებულია. საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტი გაფორმებულია.

სტიქიის პრევენციის პროგრამა

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 08 თებერვლის # 50 დადგენილებით, სტიქიის პრევენციის სახელმწიფო პროგრამის მოთხოვნების შესრულების მიზნით, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 17 ივნისის # 1374 განკარგულების საფუძველზე გამოიყო 161 424 ლარი.

ქალაქ ტყიბულში, რუსთაველის ქუჩაზე არსებული მდინარის საყრდენი კედლის რეაბილიტაციის სამუშაოების უზრუნველყოფისათვის. მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გამართულ ტენდერზე გამარჯვებულია შ.პ.ს. „სარტყელი“(სახ.ღირ-ბა: 141 268 ლარი).

საანგარიშო პერიოდისათვის კომპანიამ დაასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები კერძოდ, მოაწყო არსებული საყრდენი კედლის 377გრძ/მეტრ მონაკვეთზე ბეტონის გარსაცმი. ამ ეტაპზე, მიმდინარეობს საბოლოო ანგარიშსწორების განხორციელება.

სტიქიის ლიკვიდაციის პროგრამა

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 15 ივნისის # 1213 და 2018 წლის 03 მაისი # 957 განკარგულებებით გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში დაიგეგმა მრავალბინიანი კორპუსების სახურავების რეაბილიტაცია.

გასულ წელს 48 ერთეული საცხოვრებელი სახლის დაზიანებული სახურავების რეაბილიტაციის მიზნით ხუთ ლოტად ჩატარდა ელ. ტენდერი. გამოვლინდა გამარჯვებული კომპანიები:

- შ.პ.ს. „ბრს თბილისი“ რომელიც ახორციელებდა სამუშაოებს შემდეგი მიმართულებებით: გამსახურდიას ქ.N18, რუსთაველის ქ.N4, ახობაძის ქ.N2 (მეორე სადარბაზო), კუპრაშვილის

ქ.N1, (პირველი სადარბაზო), სვანეთის ქ.N14, სვანეთის ქ.N26, ბრეგვაძის ქ.N6, ბრეგვაძის ქ.N8, ბრეგვაძის ქ.N2, ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული შენობის სახურავი, ჯალაღანიას ქ. N23, კუპრაშვილის ქ. N2. შესრულებული სამუშაოების სახელშეკრულებო ღირებულებაა - 97 435 ლარი. სამუშაოები დასრულებულია.

- ინდ. მეწარმე რუბენ ლუტიძე რომელიც ახორციელებდა სამუშაოებს შემდეგი მიმართულებებით: გურამიშვილის ქ.N9, რობაქიძის ქ.N10, გიორგაძის ქ.N39 (პირველი სადარბაზო), თაყაიშვილის ქ. N8, სოფელი ახალსოფელში, ჩაის ფაბრიკის დასახლებაში საცხოვრებელი სახლი, რობაქიძის ქ.N14, რუსთაველის ქ. N19, სოფელ მუხურაში ადმინისტრაციული შენობის სახურავი, სოფელ ცუცხვათში ადმინისტრაციული შენობის სახურავი. შესრულებული სამუშაოების სახელშეკრულებო ღირებულება - 128 305 ლარი. სამუშაოები დასრულებულია.
- შ.პ.ს. „საფუძველი 2014“ რომელიც ახორციელებდა სამუშაოებს შემდეგი მიმართულებებით: რობაქიძის ქ.N12 (1 და 3 სადარბაზოები), გელათის ქ.N24 (პირველი სადარბაზო), სვანეთის ქ.N28, გამსახურდიას ქ.N3 (მეოთხე სადარბაზო), ჯალაღანიას ქ.N29, გამსახურდიას ქ.19, გამსახურდიას ქ.30-VII-VIII-IX, ცირეკიძის ქ.N9, კოსტავას ქ.N4. შესრულებული სამუშაოების სახელშეკრულებო ღირებულება - 133 132 ლარი. სამუშაოები დასრულებულია.
- შ.პ.ს. „საფუძველი 2014“ რომელიც ახორციელებდა სამუშაოებს შემდეგი მიმართულებებით: ცირეკიძის ქ.N16, კ. ლომაძის მოედანი ქ.N6 (პირველი სადარბაზო), თბილისის ქ.N13 (მეორე სადარბაზო), ჯალაღანიას ქ.N16, კოსტავას ქ.N5, კოსტავას ქ.N2, სოფელ გელათში კლუბის სახურავი, სოფელ სოჩხეთში კლუბის სახურავი, სოფელ ხრესილში კლუბის სახურავი. შესრულებული სამუშაოების სახელშეკრულებო ღირებულება - 133 131 ლარი. სამუშაოები დასრულებულია.
- შ.პ.ს. „საფუძველი 2014“ რომელიც ახორციელებს სამუშაოებს შემდეგი მიმართულებებით: ახობაძის ქ.N4 (მეოთხე სადარბაზო), გამსახურდიას ქ.N1 (1, 2 და 3 სადარბაზოები), გამსახურდიას ქ.N14, გიორგაძის ქ.N39 (მეორე სადარბაზო), გორგიძის ქ.N1, გამსახურდიას ქ.N49 (1, 5 და 6 სადარბაზოები), გორგიძის ქ. N2, კოსტავას ქ.N7, ქუთაისის ქ.N4, დუმბაძის ქ.N2. შესასრულებელი სამუშაოების სახელშეკრულებო ღირებულება - 127 888 ლარი. სამუშაოები დასრულებულია.

მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდი.

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 ივლისის # 1663 განკარგულებით გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში დაიგეგმა სოფელ მუხურაში შიდა სასოფლო გზის ბეტონის საფარით მოწყობის სამუშაოები.

აღნიშნული პროექტი წარმოადგენდა, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ფარგლებში განხორციელებული პროექტის გაგრძელებას 578 გრძ/მეტრით.

პროექტი დასრულებულია და იგი განახორციელა შ.პ.ს. „გი-ან 2011“-მა (ხელშეკრ. ღირ-ბა 199 999 ლარი).

2018 წლიდან გადმოსული პროექტი

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის დაფინანსებით მიმდინარეობს საწირის ადმინისტრაციული ერთეულში სასმელი წყლის მაგისტრალის მოწყობის სამუშაოები. პროექტის ფარგლებში, სასმელი წყლით მომარაგება უნდა განხორციელდეს სოფელ საწირის მიმდებარედ მოწყობილი წყალშემკრები კაპტაჟიდან, რაც მიედინება ცენტრალური d-160მმ-იანი პოლიეთილენის მილით სოფ. საწირის არსებულ რეზერვუარში, სადაც მოსაწყობია გამწმენდი ნაგებობა (საქლორატორო). ასევე მოსაწყობია d-50მმ-იანი, d-32მმ-იანი პოლიეთილების მილი აგრეთვე სოფ. დაბაძველისა და სამტრედიის უბნებში 50 ტ რეზერვუარები ხოლო ე.წ. „ლეკების“ უბანში 80 ტ რეზერვუარი. სამუშაოებს აწარმოებს შ.პ.ს. "ნიუმშენი"(სახ.ღირ-ბა: 669 727 ლარი).

მოსაწყობი მაგისტრალიდან სავარაუდოთ 700 გრძ/მეტრი განთავსებულია ტყის მასივში და ეროვნული სატყეო სააგენტოდან ნებართვის მიღებაზე პარალელურად მიმდინარეობს საჭირო პროცედურები. სამუშაოების მიმდინარეობა აგრეთვე შეაფერხა შ.პ.ს. „საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფი“-ს მოთხოვნამ, განხორციელებულიყო არსებული სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის კორექტირება.

დღეის მდგომარეობით, მოწყობილია სხვადასხვა დიამეტრის 8 კმ მაგისტრალი და სამი ერთეული სამარაგო ავზი. პროექტის სრულად განსახორციელებლად, სათავეზე მიმდინარეობს კაპტაჟის მოწყობა და ახალი საქლორატოროს აშენება. პროექტის დასრულების ვადაა 2020 წლის 31 მაისი.

ადგილობრივი ბიუჯეტის პროგრამა

2019 წელს დაიგეგმა შემდეგი სახის ინფრასტრუქტურული პროექტები:

- სოფელ ხრესილის და ახალსოფლის საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია.

  სამუშაოები განახორციელა ინდ მეწარმე ნუგზარ ფანჩულიძემ(სახ.ღირ-ბა: 31540 ლარი). სამუშაოები დასრულებულია.
- სოფელ ორპირის საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია.

  სამუშაოები განახორციელა ინდ მეწარმე ნუგზარ ფანჩულიძემ(სახ.ღირ-ბა: 12581 ლარი). სამუშაოები დასრულებულია.
- სპორტ. დარბაზის სახურავისა და ოთახების რეაბილიტაცია.

სამუშაოები განახორციელა ტენდერში გამარჯვებულმა ფირმამ შ.პ.ს. „მშენებელი ცუცხვათი“(სახ.ღირ-ბა: 61467 ლარი). სამუშაოები დასრულებულია.

- სოფელ ხრესილში, ხრესილის ომის მემორიალის რეაბილიტაცია. სამუშაოებს ახორციელებს ტენდერში გამარჯვებული ფირმა შ.პ.ს. „მშენებელი ცუცხვათი“(სახ.ღირ-ბა: 15 444 ლარი). დღეის მდგომარეობით სამუშაოები მიმდინარეობს, დარღვეულია ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოების შესრულების ვადები.
- წერეთლის ქუჩაზე ხელოვნურსაფარიანი მინი სპორტული მოედნის მოწყობა.

  სამუშაოებს ახორციელებს ტენდერში გამარჯვებული ფირმა შ.პ.ს. „ხვამლი 2019“(სახ.ღირ-ბა: 39 848 ლარი). დღეის მდგომარეობით სამუშაოები მიმდინარეობს, დასრულების ვადაა 2020 წლის 31 იანვარი.

ბ.მ. ამხანაგობების თანადაფინანსების პროგრამით დაიგეგმა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაციის სამუშაოები (თანხით 65 000 ლ).

პროექტის ფარგლებში რეაბილიტირებულია: ქუთაისის ქN3, ახობაძის ქ.N6, თბილისის ქ.N20, თაბუკაშვილის ქ.N24, კურსები 54-ე ქ. ბ.N12, კურსები 54-ე ქ. ბ.N11, გამსახურდიას ქ.N51, გამსახურდიას ქ.N21, გამსახურდიას ქ.N34, გამსახურდიას ქ.N30, რუსთაველის ქ.N9, ნინოშვილის ქ.N4, თაბუკაშვილის ქ.N18 კორპუსების სახურავები, რომელიც განახორციელა შ.პ.ს. "ხელმარჯვე ოსტატები"-მა.

საანგარიშო პერიოდისათვის მიმდინარეობს საბოლოო ანგარიშსწორების პროცედურები.

შეჯამებისათვის მინდა აღვნიშნო, რომ ტყიბულის მუნიციპალიტეტში 2019 წელს განხორციელდა სულ 146 სხვადასხვა სახის ინფრასტრუქტურული პროექტი, თანხით 6 884 801 ლარი. საკასო შესრულება შეადგენს 6 410 219 ლარს, (93%). მათ შორის:

რ.გ.პ. ფონდი - სახელშეკრულებო ღირებულება 3 198 835 ლარი, საკასო შესრულება 3 062 553 ლარი - 96%;

საჯარო სკოლების მცირე რეაბილიტაცია - სახელშეკრულებო ღირებულება 381 141 ლარი, საკასო შესრულება 338 278 ლარი - 96%;

სოფლის მხარდაჭერის პროგრამა - სახელშეკრულებო ღირებულება 526 893 ლარი, საკასო შესრულება 500 871 ლარი - 95%;

სამედიცინო ამბულატორიების რეაბილიტაცია - სახელშეკრულებო ღირებულება 90 725 ლარი, საკასო შესრულება 86 216 ლარი - 95%;

მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდი - სახელშეკრულებო ღირებულება 199 999 ლარი, საკასო შესრულება 194 221 ლარი - 97%;

სტიქიის პრევენცია - სახელშეკრულებო ღირებულება 141 268 ლარი, საკასო შესრულება 117 420 ლარი - 83%;

სტიქიის ლიკვიდაციის პროგრამა - სახელშეკრულებო ღირებულება 1 506 348 ლარი, საკასო შესრულება 1 476 832 ლარი - 98%;

ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტები - სახელშეკრულებო ღირებულება 170 495 ლარი, საკასო შესრულება 124 772 ლარი - 62%.

სამსახური მარეგულირებელი სამართლებრივი აქტების მოთხოვნების შესრულების მიზნით, ახორციელებს სახვადასხვა სახის ფუნქცია-მოვალეობებს:

„მშენებლობის ნებართვების გაცემისა და შენობა-ნაგებობების ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის # 255 დადგენილების მოთხოვნების შესრულების მიზნით სამსახურის მიერ საანგარიშო პერიოდისათვის მომზადდა და გაიცა: მშენებლობის ნებართვა 17 ობიექტზე. ექსპლუატაციაში მიღებულია 5 ობიექტი, I-ლი კლასის ობიექტზე, მარტივი წესით შეთანხმებულია 30 ობიექტის სამშენებლო დოკუმენტი.

საანგარიშო პერიოდისათვის სამსახურში შემოსულია მოქალაქეთა 1267-ზე მეტი განცხადება, ძირითადად, სიძველისა და წარმოქმნილი მეწყერული მოვლენების გამო, საცხოვრებელი სახლების დაზიანების შესახებ. შემოსულ განცხადებებზე დადგენილ ვადებში ვახდენთ შესაბამისი რეაგირებას. კომისიის მიერ ადგილზე მისვლით, ვიზუალური დათვალიერების წესით შესწავლილი და დადგენილი იქნა საცხოვრებელი სახლების დაზიანების ხარისხი, რაც დასტურდება სათანადო აქტებით, რომელიც გადაგზავნილია შემდგომი რეაგირების მიზნით.

რაც შეეხება მეწყერისაგან დაზიანებულ საცხოვრებელ სახლებს მასზე ინფორმაცია იგზავნება გარემოს დაცვის ეროვნულ სააგენტოში, გეოლოგიური კვლევის ჩატარების და შემდგომი პრევენციული ღონისძიებების დასახვის მიზნით.

ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახური

ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის მიერ 2019 წლის განმავლობაში შესრულებული იქნა და განხორციელდა შემდეგი სამუშაოები:

საბავშვო ბაღის აშენების მიზნით სახელმწიფოსაგან მოთხოვნილი იქნა და მუნიციპალიტეტის საკუთრებად დარეგისტრირდა ტყიბულის რაიონის სოფ. სამტრედიაში 1639 კვ.მ არასასოფლო -სამეურნეო მიწის ნაკვეთი (ს/კ39.03.35.188). აგრეთვე საბავშვო ბაღის მშენებლობისათვის მოთხოვნილ იქნა მიწის ნაკვეთი წულუკიძის შახტის მიმდებარედ, მაგრამ აღნიშნული მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა.

მერის დავალებით დამზადდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული 62 სასაფლაოს საკადასტრო-აზომვითი ნახაზი. სასაფლაოების დიდი ნაწილი მოქცეულია სატყეო ფონდის მიწებზე. მათი რეგისტრაციის მიზნით გაიგზავნა მოთხოვნა ეროვნულ სატყეო სააგენტოში და სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში. აღნიშნული უწყებების მიერ, სახელმწიფო ტყის ფონდიდან ამორიცხვისა და სასაფლაოების რეგისტრაციის მიზნით მოთხოვნილი იქნა ნუსხა სასაფლაოების ტერიტორიაზე არსებული ხე-მცენარეების შესახებ სახეობებისა და რაოდენობის მიხედვით. გაირკვა, რომ აღნიშნული ინფორმაციის მისაღებად საჭიროა დაქირავებული იქნას სპეციალისტი, რომელის მიერ მომზადებული ინფორმაციის საფასური ერთ საკადასტრო აზომვით ნახაზზე განისაზღვრება 250 დან 300 ლარამდე. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შესაბამისი თანხების არარსებობის გამო, ნაწილი აღნიშნული საკითხებისა დროებით შეჩერებულია.

ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის მიერ მომზადდა სრული დოკუმენტაცია, სოფელ საწირეში, დაბაძველში, ხრესილში, ჭყეპში და მუხურის ორ ლოკაციაზე არსებული სასაფლაოების შესახებ, რომლებზედაც გაიგზავნა მოთხოვნა სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში მათი რეგისტრაციისა და ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემის მიზნით. აღნიშნული სასაფლაოს ტერიტორიები 2019 წლის დეკემბრის ბოლოსათვის უკვე რეგისტრირებულია ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკუთრებად. ამავე წესით, ეტაპობრივად გაგზავნილია მოთხოვნა იმ სასაფლაოების რეგისტრაციის მიზნით, რომელთა ტერიტორიაც არ იკავებს სატყეო ფონდის მიწებს.

ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიამ გააფორმა შემდეგი ხელშეკრულებები:

1. ა.(ა.)ი.პ ,,ტყიბულის მუნიციპალიტეტის კომუნალურ გაერთიანებას“ უსასყიდლოდ, ბალანსიდან ბალანსზე, გადაეცა ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, მცირეფასიანი ინვენტარი - ქუჩის გარე განათების (LED) სანათები, საბალანსო ღირებულებით 46900 ლარი.

N	დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	ღირებულება (ლარი)
1	გარე განათების (LED) სანათი 30w	500	67	33500
2	გარე განათების (LED) სანათი 50w	150	72	10800
3	გარე განათების (LED) სანათი 100w	20	130	2600
	ჯამი	670		46900

2. ა.(ა.)ი.პ ,,ტყიბულის მუნიციპალიტეტის კომუნალურ გაერთიანებას“ უსასყიდლოდ, ბალანსიდან ბალანსზე, გადაეცა ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, მცირეფასიანი ინვენტარი - ქუჩის გარე განათების (LED) სანათები, საბალანსო ღირებულებით 72300 ლარი.

N	დასახელება	რაოდ ენობა	ერთეული ს ფასი (ლარი)	ღირებუ ლება (ლარი)
1	გარე განათების (LED) სანათი 30w	300	70	21000
2	გარე განათების (LED) სანათი 50w	220	76	16720
3	გარე განათების (LED) სანათი 100w	260	133	34580
	ჯამი	780		72300

აღნიშნული სანათები დამონტაჟებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.

3. ა.(ა.)ი.პ ,,ტყიბულის მუნიციპალიტეტის კომუნალურ გაერთიანებას“, ბალანსიდან ბალანსზე გადაეცა ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შემდეგი მოძრავი ქონება:

ერთი ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალება „სპრინტერ 3500“ მარკის მიკროავტობუსი, საიდენტიფიკაციო ნომერი WD0PD544355844094, სახელმწიფო ნომერი VV 171 PP, საბალანსო ღირებულება 34500 ლარი, რომელიც ამჟამად ემსახურება მგზავრთა გადაყვანას ქალაქის ტერიტორიაზე.

- ავტომანქანა ნისან ნავარა, პიკაპი, გამოშვების წელი 2008 , სახელმწიფო ნომერი ATA 001. საბალანსო ღირებულება 0 (ნული) ლარი.
- სპეც. მანქანა ამწე კალათიანი, მარკა - NISSAN VEHICULOS, გამოშვების წელი 2003 საიდენტიფიკაციო ნომერი VWASBFTL032169570, სახელმწიფო ნომერი OV 340 VO;

4. გადაეცა თხოვების ფორმით ა.(ა).ი.პ ,,ტყიბულის მუნიციპალიტეტის კომუნალურ გაერთიანებას“ ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შემდეგი მოძრავი ქონება:

თვითმცლელი FORD CARGO 3535 D, გამოშვების წელი 2012, საიდენტიფიკაციო ნომერი NMOR35TEDDCY95883, სახ. ნომერი FD770DF.

5. ა.(ა.)ი.პ ,,ტყიბულის მუნიციპალიტეტის კომუნალურ გაერთიანებას“ უსასყიდლოდ, ბალანსიდან ბალანსზე, გადაეცა ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, დანართი N1-ში მითითებული მცირეფასიანი ინვენტარი 9316.1 ლარი.

დანართი N1

N	დასახელება	რაოდენობა	ღირებულება (ლარი)
1.	სტრინგი 10მ, 100ლედ ფერადი 1.5მმ გამჭვირვალე მავთული, ციმციმის ფუნქციით	10	141.60
2.	ლოლო 80სმ, 10მ კომპლექტო 220ვ. კაბელზე 10 ცალი ჩამოშვებით, დიამეტრი 2.8 სმ	50	3540
3.	ირემი მოძრავი ლურჯი	5	548.70
4.	ნაძვის ხის მანათობელი ბურთი დიოდური 220ვ, დიამეტრი 20სმ ip44, თეთრი	30	601.80
5.	მრგვალი მანათობელი დიოდური მილი, დიამეტრი 11მმ, ორხაზიანი,1მეტრში 32 ლედი, ლედების ჰორიზონტალური წყობა 220ვ თეთრი ნათებით	200 მეტრი	495.60
6.	ნეონის ფიფქი 40სმ ლურჯი	50	2006
7.	მრგვალი მანათობელი დიოდური მილი, დიამეტრი 11მმ, ორხაზიანი,1მეტრში 32 ლედი, ლედების ჰორიზონტალური წყობა 220ვ წითელი ნათებით	200 მეტრი	495.60
8.	მრგვალი მანათობელი დიოდური მილი, დიამეტრი 11მმ, ორხაზიანი, 1 მეტრში 32 ლედი, ლედების ჰორიზონტალური წყობა 220ვ ყვითელი ნათებით	200 მეტრი	495.60
9.	მრგვალი მანათობელი დიოდური მილი, დიამეტრი 11მმ, ორხაზიანი, 1 მეტრში 32 ლედი, ლედების ჰორიზონტალური ფერადი ნათებით	200 მეტრი	495.60
10.	მრგვალი მანათობელი დიოდური მილი, დიამეტრი 11მმ, ორხაზიანი, 1 მეტრში 32 ლედი, ლედების ჰორიზონტალური წყობა 220ვ ლურჯი ნათებით	200 მეტრი	495.60
	ჯამი		9316.1

7. ქ. ტყიბულის მე-2 საჯარო სკოლის დემონტაჟისა და მის ადგილზე ახალი სკოლის აშენებისათვის გაფორმდა უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულება სსიპ ქალაქ ტყიბულის N2 საჯარო სკოლასთან, მის სარგებლობაში არსებული უძრავი ქონების (ს/კ 39.01.27.035) ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიისათვის უსასყიდლოდ, სარგებლობის უფლებით, 3 (სამი) წლის ვადით გადმოცემასთან დაკავშირებით. ამ მიზნით ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გამოცხადდა აუქციონი ქ. ტყიბულის მე-2 საჯარო სკოლის დემონტაჟის სამუშაოების განხორციელების მიზნით. აუქციონში გამარჯვებულმა ოთხი თვის ვადაში, 2019 წლის 6 დეკემბრამდე მოახდინა შენობის სრული დემონტაჟი და ტერიტორიის გასუფთავება.

8. თხოვების ფორმით ა.(ა.)ი.პ ,,ტყიბულის რაიონის განვითარების ფონდს“ უმწეოთა შინ მოვლის სერვისის განხორციელებისათვის გადაეცა ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შემდეგი მოძრავი ქონება:

ერთი ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალება ,,ფორდ ტრანზიტი'' გამოშვების წელი 2006 სახელმწიფო ნომერი WW 198 OW

9. გადაეცა ა.(ა.)ი.პ ,,ტყიბულის მუნიციპალიტეტის კულტურის ობიექტების გაერთიანებას“ უსასყიდლოდ, ბალანსიდან ბალანსზე, ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, მცირეფასიანი ინვენტარი - სახანძრო ფარი, 2(ორი) ცალი, საერთო ღირებულებით 700 ლარი.

10. გადაეცა უსასყიდლოდ ა.(ა.)ი.პ ტყიბულის მუნიციპალიტეტის „სპორტული ცენტრი“-ს ბალანსიდან ბალანსზე, დანართი N1-ში დასახელებული მცირეფასიანი ინვენტარი 84345 ლარი.

დანართი N1

		დასახელება	**რაოდენობა**	**ღირებულება (ლარი)**
		ტყიბულის სპორტის სასახლის ფოტოები 600X400 (ძველი და ახალი	9	720
		საოფისე მაგიდა	11	1430
		სკამი ნახევრად რბილი	20	800
		ინდივიდუალური გასახდელი კარადა	28	6300
		კალათბურთის ბურთი სტანდარტული 7 ზომა	5	75
		კრივის ტომარ ტყავის შემცვლელით	1	40
		ფეხბურთის ბურთი ტყავის	5	75

	შემცვლელით		
	მინი კარის ბადეები პოლიესტერის თოკის	1 წყვილი	60
	კალათბურთის ფორმა	10	180
	ფრენბურთის ბადე პოლიესტერის თოკის	1	55
	ფეხბურთის კარის ბადე პოლიესტერის თოკის	1 წყვილი	150
	მაგიდის ჩოგბურთის მაგიდა ლამინირებული	2	660
	კალათბურთის ფარი პორტაბელური სისტემა Easyplay training შვერილის სიგრძით 225 სმ შოთ-ქლოქის სამაგრით, (foldable supports)	2	43870
	24/14 წამიანი შოთქლოქები FS 24 S H20 დისტანციური მართვით	2	5250
	ელექტრო ტაბლო მულტიფუნქციური FS 130 N, გუნდების ელექტრონული წარწერებით, დისტანციური მართვით	1	18485
	ხელბურთის კარები ბადეებით, IHF (ხელბურთის საერთაშორისო ფედერაცია) მიერ აღიარებული	2	6195
ჯამი			84345

11. ა.(ა.)ი.პ ტყიბულის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრს გადაეცა შემდეგი სახის და ღირებულების ინვენტარი:

დასახელება	**რაოდენობა**	**ერთეულის ფასი**	**ჯამი**
სკამი	3	21,3	63,09
კომპიუტერი	1	669	669
კარადა	1	200	200
კომპიუტერი	1	565	565
წიგნების თარო	1	35	35

მაგიდა	2	647,49	1294,98
ტუმბო	1	80	80
იუპიესი	1	117,99	117,99
მონიტორი	1	773	773
სავარძელი	1	145	145
მონიტორი	1	150	150
ჯამი			4093,06

12 გადაეცა უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, 5 (ხუთი) წლის ვადით, ა.(ა.)ი.პ ტყიბულის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებას“ ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის საკუთრებაში არსებული შემდეგი უძრავი ქონებები:

- ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ სოჩხეთში მდებარე 1706 $მ^2$ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა (ს.კ 39.10.23.019);
- ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ გურნაში მდებარე შენობა-ნაგებობის (ს.კ 39.09.25.166) პირველ სართულზე განთავსებული 29,74 $მ^2$ და მეორე სართულზე განთავსებული 187,63 $მ^2$ ფართი;
- ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯვარისაში მდებარე შენობა-ნაგებობის (ს.კ 39.08.26.022) პირველ სართულზე განთავსებული 96,75 $მ^2$ და მეორე სართულზე განთავსებული 176,55 $მ^2$ ფართი;

13 ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიამ გააფორმა იჯარის ხელშეკრულება, მის საკუთრებაში არსებული შენობით სარგებლობის შესახებ.

14 ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიამ გააფორმა ხელშეკრულება სამოქალაქო სერვისების განვითარების სააგენტოსთან, რომლის თანახმადაც მას აღნაგობის უფლებით გადაეცა ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ საწირეში არსებული 1206 კვ.მ მიწის ნაკვეთი(ს/კ 39.03.27.516). მიმდებარე ტერიტორიაზე მოეწყო საზოგადოებრივი ცენტრი. აღნიშნული მიწის ნაკვეთი, 2019 წლის 16 ოქტომბერს, ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერის N47 1854 ბრძანებით, სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მოთხოვნით გადაეცა სახელმწიფოს უსასყიდლოდ.

15 ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიამ გააფორმა ხელშეკრულება სამოქალაქო სერვისების განვითარების სააგენტოსთან, რომლის თანახმადაც მას აღნაგობის უფლებით გადაეცა ქ. ტყიბულში, თაბუკაშვილის ქუჩა N2-ის მიმდებარედ არსებული 1953 კვ.მ მიწის

ნაკვეთი(ს/კ 39.01.26.303). მიმდებარე ტერიტორიაზე მოეწყო საზოგადოებრივი ცენტრი. აღნიშნული მიწის ნაკვეთი, 2019 წლის 25 დეკემბერს, ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერის N47 2298 ბრძანებით, სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მოთხოვნით გადაეცა სახელმწიფოს უსასყიდლოდ.

ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული მუნიციპალიტეტის საპრივატიზაციო ქონების ნუსხისა და გეგმის შესაბამისად განხორციელდა ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი და მოძრავი ქონების პრივატიზება ელექტრონული აუქციონის საშუალებით.

ელექტრონული აუქციონის დასრულების შემდეგ გაფორმდა აუქციონის ოქმი, ნასყიდობის ხელშეკრულება და საკუთრების მოწმობა გადაეცა შემდეგ პირებს:

N	ობიექტის დასახელება	საკადასტრო კოდი	მიწის ფართობი მ²	აუქციონში გამარჯვებული	ქონების ღირებულება აუდიტი-ს დასკვნით (ლარი)	გაყიდვის ფასი
1	ავტომანქანა ნივა 21214 UIU 406			ლევან ნათაძე	2600	2620
2	ავტომანქანა ნივა 21214 RVR 474			გრიგოლ ყურულოვი	1000	1020
3	ქ. ტყიბული, ძმ. ვარდოსანიძეების ქუჩა N29 (ფართით 565 კვ.მ. ს/კ 39.01.30.055) (ყოფილი	39.01.30.055	565	ლევანი ჩაფიძე	35000	35500
4	ქ. ტყიბული, ყოფილი ლენინის შახტის სასადილოს მიმდებარედ ს/კ	39.01.22.030		ემზარი ობოლაძე	1500	1520

5	ავტომანქანა ნივა 21214 LCL 878			მათე მირიანაშვილი	1200	1500
6	ავტომანქანა ნივა 21214 SAN 644			გელა სამხარაძე	850	860
7	ტყიბული, იმერეთის ქ. N32(ბაღის შენობა)ს/კ 39.01.25.045)	39.01.25.045	1130	დავით ჩოხელი	0	50
8	ავტომანქანა ოპელ ვექტრა BCB 151			შოთა კაპანაძე	700	710
9	შავი თუნუქის ჯართი		500 კგ	ჯანიკო დარსაძე	175	195
10	ტყიბული, თაბუკაშვილის2(ს/კ 39.01.26.231)	39.01.26.231	600	შპს მათე 2019, ჰამლეტ კუჭუხიძე	0	10
11	ალუმინის ჯართი		60 კგ	ალექსანდრე ცირეკიძე	120	160
12	ალუმინის ჯართი		2300 კგ	ნიკა ექონია	4600	5480
13	ტყიბული, ნინოშვილის ქ. N 2(ს/კ 39.01.27.035)	39.01.27.035	2267,94	გელა ხაბურძანია	20000	32000
14	ავტომანქანა ნივა LCL 939			დანიელ მგელიაშვილი	1500	2240

15	ავტომანქანა შევროლე ლაცეტი FOT 355			ვეფხვია ლომიტაშვილი	600	1010
16	ავტომანქანა მიცუბიში მონტერო BMB 202			დავით ბიკოევი	5000	500 (საგარანტიო თანხა)
17	ნ.დუმბაძის ქუჩა N13-ში დებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-	39.01.22.001	*1319*	Business club georgia	6000	600 (საგარანტიო თანხა)
18	ქ. ტყიბული, გიორგაძის ქუჩა N20-ში დებარე 1245 $მ^2$ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-	39.01.21.035	1245	Business club georgia	6000	600 (საგარანტიო თანხა)
	ავტომანქანა მიცუბიში მონტერო BMB 202			ბაქარი გაბუნია	4000	5820

პრივატიზების შედეგად მიღებულმა თანხამ შეადგინა 92465 (ოთხმოცდათორმეტიათას ოთხას სამოცდახუთი) ლარი.

დასრულდა ქ. ტყიბული, იმერეთის ქ. N32 (ბაღის შენობა)ს/კ 39.01.25.045), მდებარე შენობა-ნაგებობის დემონტაჟის სამუშაოები. აღნიშნული სამუშაოების დასრულების შემდგომ დაგეგმილია ახალი საბავშვო ბაღის მოწყობა.

ასევე დასრულდა ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის საკუთრებაში არსებული ქ. ტყიბულში, თაბუკაშვილის ქ. N2-ის მიმდებარედ განთავსებული ამორტიზებული შენობის სადემონტაჟო სამუშაოები.

სამსახური ახორციელებს ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დაუზუსტებელი ქონების მონაცემებში ცვლილების რეგისტრაციას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მეშვეობით.

გაფორმდა უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულება „სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურთან“ მერიის ადმინისტრაციული შენობის პირველ სართულზე

მდებარე ერთი ოთახის გადაცემასთან დაკავშირებით, სოციალურად დაუცველი პირებისათვის იურიდიული კონსულტაციის გაწევის მიზნით.

გაფორმდა უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულება „სსიპ ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ ცუცხვათის საჯარო სკოლისათვის“, ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ ცუცხვათში მდებარე ადმინისტრაციული შენობის გადაცემის შესახებ.

სამსახური ახორციელებს შემოსული წერილების განხილვას და მათზე შესაბამისი პასუხების მომზადებას. სამსახურმა წლის განმავლობაში მიიღო სამასზე მეტი წერილი და განცხადება, რომლებსაც თავისდროულად გაეცა პასუხი და შესრულდა. წერილებს რომლების შეეხება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებაზე ლიცენზიის გაცემას, სხვა სამსახურთან ერთად ხდებოდა ადგილზე გასვლა, მოსახლეობის გამოკითხვა და შესაბამისი აქტის შედგენა. ასევე მომზადდა 61 ბრძანება და 26 საკრებულოს განკარგულების, ასევე 2 საკრებულოს დადგენილების პროექტი.

სამსახური მონაწილეობას იღებს ასევე თვითნებურად დაკავებულ მიწებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის მუშაობაში. ამ მიზნით სამსახურის თანამშრომლების მიერ რეგულარულად ხორციელდება კომისიაში შემოსული განცხადებების საფუძველზე მათი ადგილზე შემოწმება და დასურათება, შემდგომში საკითხის განხილვისა და გადაწყვეტილების მისაღებად. 2019 წლის ნოემბრის თვეში დასრულდა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიაში 2016 წლიდან 2019 სექტემბრამდე შემოსული ყველა განცხადების განხილვა.

ჩვენი მოთხოვნის საფუძველზე, სახელმწიფოსაგან დამატებითი ქონების სახით გადმოგვეცა ქ. ტყიბულში, ტყვარჩელის ქუჩა N51-ში მდებარე 18313 კვ.მ მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები (ს/კ 39.01.02.046), ასევე ტყვარჩელის ქუჩა N32-ის მიმდებარედ განთავსებული 717 კვ.მ მიწის ნაკვეთი (ს/კ 39.01.29.051). ორივე მათგანი უკვე რეგისტრირებულია ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკუთრებად.

საფინანსო სამსახური

ბოლო წლებში არჩეული სტრატეგიის შესაბამისად პრიორიტეტულ მიმართულებებზე მიმართული სახსრების ზრდამ შესაძლებელი გახადა ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარება, რაც აუცილებელი წინა პირობაა მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის, რითაც თავის მხრივ უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება, მუნიციპალიტეტში ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, კულტურისა და სპორტის განვითარება.

შემოსავლების წლიური გეგმა შეადგენდა 12636,4 ათას ლარს; ფაქტიურად შემოსულია 12380,0 ათასი ლარი. გეგმა შესრულებულია 98,0%-ით.

გადასახადების გეგმა შეადგენდა 4250,9 ათას ლარს; ფაქტიურად მიღებულია 4427,6 ათასი ლარი. გეგმა შესრულებულია 104,2%-ით.

გრანტების გეგმა შეადგენდა 7356,9 ათას ლარს, მიღებულია 7305,2 ათასი ლარი. გეგმა შესრულებულია 99,3 %-ით.

სხვა შემოსავლების გეგმა შეადგენდა 968,6 ათას ლარს; ფაქტიურად მიღებულია 580,0 ათასი ლარი; რაც მთლიანი გეგმის მხოლოდ 60,0%-ს შეადგენს.

არაფინანსური აქტივების წლიური გეგმა შეადგენდა 60,0 ათას ლარს; შემოსულია 67,2 ათასი ლარი; გეგმა შესრულებულია 112,0%-ით.

გადასახდელების წლიური გეგმა შეადგენდა 16680,7 ათას ლარს; ფაქტიურად გახარჯულია 15404,4 ათასი ლარი; გეგმა შესრულებულია 92,3 %-ით.

ხარჯების შესრულება პრიორიტეტების მიხედვით შემდეგნაირია;

საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების გეგმა შეადგენდა 2321,3 ათას ლარს; ფაქტიურად გახარჯულია 2242,1 ათასი ლარი; გეგმა შესრულებულია 96,6 %-ით.

თავდაცვის გეგმა შეადგენდა 86,3 ათას ლარს; გახარჯულია 86,0 ათასი ლარი; გეგმა შესრულებულია 99,7 %-ით.

ეკონომიკური საქმიანობის (გზების მოვლა შენახვა, სატრანსპორტო საშუალებების შეძენა და საქალაქო ტრანსპორტის სუბსიდირება) განხორციელების გეგმა შეადგენს 5146,6 ათას ლარს; ფაქტიურად გახარჯულია 4852,8 ათასი ლარი. გეგმა შესრულებულია 94,3%-ით.

გარემოს დაცვის სუბსიდირების გეგმა შეადგენდა 282,2 ათას ლარს; გახარჯულია 279,5 ათასი ლარი. გეგმა შესრულებულია 99,0%-ით.

საბინაო-კომუნალური მეურნეობის განვითარების გემა შეადგენდა 4445,5 ათას ლარს; ფაქტიურად გახარჯულია 3866,5 ათასი ლარი. გეგმა შესრულებულია 87,0 %-ით.

ჯანდაცვის გეგმა შეადგენდა 71,0 ათას ლარს; გახარჯულია სრულად.

დასვენება, კულტურა და რელიგიის პრიორიტეტის გეგმა შეადგენდა 1533,7 ათას ლარს; გახარჯულია 1494,7 ათასი ლარი. გეგმა შესრულებულია 97,5 %-ით.

განათლების პრიორიტეტის (სკოლამდელი აღზრდის სუბსიდირება, სკოლამდელი აღზრდის ობიექტების მოწყობა- რეაბილიტაცია და საშუალო სკოლების რეაბილიტაცია და მოსწავლეთა ტრანსპორტირება) გეგმა შეადგენდა 2372,1 ათას ლარს; ფაქტიურად გახარჯულია 2103,0 ათასი ლარი. გეგმა შესრულებულია 88,7 %-ით

სოციალური დაცვის პრიორიტეტის გეგმა შეადგენდა 422,0 ათას ლარს; ფაქტიურად გახარჯულია 408,9 ათასი ლარი. გეგმა შესრულებულია 96,9%-ით.

2019 წლის შემოსავლები(12380,0 ათასი ლარი) გასული წლის ანალოგიური პერიოდთან შედარებით (11247,1ათასი ლარი) 1132,9 ათასი ლარით მეტია მიღებული, რამაც საშუალება მოგვცა 2019 წელს აღებული ვალდებულებები ხარჯვით ნაწილში 92,3%-ით შეგვესრულებინა. (5159,8 ათასი ლარით მეტი 2018 წლის ხარჯებთან შედარებით).

ზედამხედველობის სამსახური

ზედამხედველობის სამსახურს დებულების შესაბამისად ევალება მუნიციპალიტეტის კომპეტენციის ფარგლებში გაცემული მშენებლობის ნებართვის საფუძველზე მიმდინარე მშენებლობებზე კონტროლი და ზედამხედველობა.

2019 წლის იანვრიდან საანგარიშო პერიოდში გაცემულია მშენებლობის 20(ოცი) ნებართვა:

1.საცხოვრებელი სახლი სოფ. კურსებში (მფლ. ბაქარი მახვილაძე).

2. ჩაის გადამამუშავებელი საამქრო სოფ. საწირეში (შ.პ.ს. ,,ტყიბულის მთის ჩაი“).

3. საზოგადოებრივი ცენტრი. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო.

4. სოფელ ახალსოფლის გაზმომარაგება. (გაზის ტრანსპორტირების კომპანია).

5. საცხოვრებელი სახლი სოფ. გელათში . (მფლობელი თეონა მაწკეპლაძე).

6.საცხოვრებელი სახლი სოფ. მანჭიორში (მფლობელი კობა სოფრომაძე)

7. ჩაის ფაბრიკა სოფ. სამტრედიაში . შ.პ.ს. ,,ოკრიბა“.

8. ჩაის ფაბრიკის დემონტაჟი სოფ. ცუცხვათში (ანა გოქაძე).

9. შენობის სახურავის რეკონსტრუქცია. ძმ. ვარდოსანიძეების ქ. (მფლობელი ლევანი ჩაფიძე).

10. შპს ,,მაგთიკომი“, კურსების IP ტელევიზია.

11. მეცხოველეობის ფერმა სოფ.სამტრედიაში(მფლ. რაჟდენი გოგელაშვილი)

12. სოფელი მოწამეთას გაზმომარაგება. გაზის ტრანსპორტირების კომპანია.

13. სოფელი გელათის გაზმომარაგება. გაზის ტრანსპორტირების კომპანია.

14. სავაჭრო ობიექტი ტყვარჩელის ქუჩაზე(მფლ. ლევანი ვარდოსანიძე)

15. მეცხოველეობის ფერმის პროექტში შეტანილი ცვლილებები (მეორე სართულის დაშენება) მფლ.რაჟდენი გოგელაშვილი.

16. N7 საჯარო სკოლა. დარჩენილი სამუშაოების დასრულება (სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო).

17. სოფელი ორპირის გაზმომარაგება. გაზის ტრანსპორტირების კომპანია.

18. შპს ,,მაგთიკომი“-ს საბაზო სადგური სოფელ კურსებში. 30მ-იანი ანძა. შპს ,,მაგთიკომი“.

19. თხევადი გაზით ავტოგასამართი სადგური. ქ. ტყიბული, ტყვარჩელის ქ.მფლ. ალექსანდრე ისაკაძე.

20. არსებული შენობის რეკონსტრუქცია. (ცვლილებები) ქ. ტყიბული ტყვარჩელის ქ.N29(მფლობელი ლევანი ჩაფიძე).

აქედან ერთი დემონტაჟი.

მშენებლობა მიმდინარეობს 8(რვა)ობიექტზე:

1. საცხოვრებელი სახლი სოფ. გელათში.(თ.მაწკეპლაძე)
2. .სახურავის რეკონსტრუქცია ქ. ტყიბულში (ლ.ჩაფიძე).
3. სავაჭრო ობიექტი ტყვარჩელის ქუჩაზე.(ლ.ვარდოსანიძე)
4. N7 საჯარო სკოლა.
5. ჩაის ფაბრიკა სოფ. სამტრედიაში . (შ.პ.ს. ,,ოკრიბა“).
6. თხევადი გაზით გასამართი სადგური.(ა. ისაკაძე)
7. სოფ. მოწამეთას გაზმომარაგება (გ.ტ.კ)
8. სოფ.გელათის გაზმომარაგება (გ.ტ.კ)

ჩაის ფაბრიკის დემონტაჟი სოფ. ცუცხვათში (ანა გოქაძე) შეჩერებულია. დასრულებულია მშენებლობის ნებართვის მოქმედების ვადა. გაგრძელების შემთხვევაში უნდა გაიცეს ახალი მშენებლობის ნებართვა.

სხვა მშენებლობა ჯერჯერობით არ დაწყებულა. ექსპლოატაციაში საანგარიშო პერიოდში გაშვებულია 13(ცამეტი) ობიექტი:

1. საცხოვრებელი სახლი სოფ. ცუცხვათში. (ემზარი პატარიძე).
2. ავტოსახელოსნო კომპლექსი (ქ.ტყიბული ბერეკაშვილის N4).
3. ფერმა ტყვარჩელის N22 (მამუკა ფხალაძე).
4. საცხოვრებელი სახლი სოფ. კურსებში (მფლ. ბაქარი მახვილაძე).
5. ქვესადგური ,,ტყიბული“-ს რეკონსტრუქცია (ს.ს ,,ენერგო პროჯორჯია“).
6. მაღაზიის რეკონსტრუქცია სოფ.საწირეში (მფლ. ხათუნა ქაშიბაძე).
7. საცხოვრებელი სახლი სოფ.დაბაძველში (რ.გელაძე)
8. საზოგადოებრივი ცენტრი ქ.ტყიბულში (სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო).
9. სოფელი ახალსოფლის გაზმომარაგება (გ.ტ.კ)
10. საცხოვრებელი სახლი სოფ.მანჭიორში (კ.სოფრომაძე)
11. შპს ,,მაგთიკომი“ სოფ.კურსების ინტერნეტი და IP ტელევიზია. (შპს მაგთიკომი)
12. მეცხოველეობის ფერმა სოფ. სამტრედიაში (რ. გოგელაშვილი)
13. მედიათეკა სოფ. საწირეში (ი.ნემსაძე)

მშენებლობის ნებართვის მოქმედების ვადა გაუგრძელდა მოქალაქე შ. დოღონაძეს საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის სოფ.კოკაში. არ დაწყებულა და მშენებლობის

ნებართვის ვადები ამოწურულია საცხოვრებელი სახლების მშენებლობაზე სოფ. ბობოთში (ვ.ხუციბერიძე) და საწირეში (თ. ცირეკიძე) მათზე გაიცემა ახალი მშენებლობის ნებართვები. ასევე არ დაწყებულა ჩაის ფაბრიკის მშენებლობა სოფელ საწირეში (მფლ. შპს ტყიბულის მთის ჩაი).

დასრულებულია და ექსპლოატაციაში მიღებულია, თუმცა არ ფუნქციონირებს 2(ორი) ობიექტი: გელათის ვიზიტორთა ცენტრი(მგფ) და საწირის რკინიგზის სადგური (შპს საქართველოს რკინიგზა) ორჯერ მომართა მერიას გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიამ ქ. ტყიბულის წყალმომარაგების რეაბილიტაციის ექსპლოატაციაში მიღებასთან დაკავშირებით, თუმცა ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტი არ გამოცემულა. კვლავ გაურკვეველ მდგომარეობაშია მუხურის საჯარო სკოლის მდგომარეობა.

პერიოდული კონტროლი და ზედამხედველობა ხორციელდება პირველი კლასის ობიექტების მშენებლობებზე. პირველი იანვრიდან დღემდე ნებართვა განსაზღვრული ვადით გაიცა 48(ორმოცდარვა) ობიექტზე, აქედან 32(ოცდათორმეტი) დამთავრებულია, დანარჩენ ობიექტზე მიმდინარეობს მშენებლობის პროცესი.

მშენებლობებზე გაცემული სანებართვო მოსაკრებლის სახით ადგილობრივ ბიუჯეტში მობილიზებულია 75,427 ლარი.

როგორც მოგეხსენებათ მ/წ 03 ივლისიდან ძალაში შევიდა საქართველოს კანონი ,, საქართველოს სივრცით დაგეგმარების არქიტექტურულ და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ რომელიც ითვალისწინებს, დარღვევებთან დაკავშირებით, როგორც საჯარიმო სანქციების გაზრდას, ასევე დიდი ყურადღება ეთმობა მშენებლობებზე უსაფრთხოების ნორმების და წესების დაცვას.

სამსახურის მიერ გამოვლენილია და სასამართლოს გადაცემულია სამართალდარღვევის 3(სამი) ოქმი.

01.03.2019 წელი: მოქალაქე ამირან ქველიაშვილის მიმართ შედგენილია სამართალდარღვევის ოქმი N1(000064) ა.ს.კ. 153-ე მუხლის 1ნაწილის საფუძველზე, მოსამართლის მიერ გამოტანილია დადგენილება დაჯარიმების თაობაზე (50ლარი)

26,03,2019 წელი: მოქ.ამირან ქველიაშვილის მიმართ განმეორებით შედგენილია სამართალდარღვევის ოქმი N2(000065) ა.ს.კ. 153-ე მუხლის 1ნაწილის საფუძველზე მოსამართლის მიერ გამოტანილია დადგენილება დაჯარიმების თაობაზე (50ლარი).

16.04.2019 წელი: მოქალაქე ნინო აბესაძის მიმართ შედგენილია სამართალდარღვევის ოქმი N3 (000066) ა.ს.კ. 150^1-ე მუხლის 1ნაწილის საფუძველზე, მოსამართლის მიერ გამოტანილია დადგენილება ,,სიტყვიერი შენიშვნის თაობაზე”.

საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 55[2] **(სახელმწიფო საკუთრების მიწის ნაკვეთის უნებართვოდ დაკავება ან/და მიწათსარგებლობის უფლების გარეშე სარგებლობა)**, 150[1] მუხლის 3-ე ნაწილის **(თვითმმართველი ერთეულის იერსახის თვითნებური შეცვლა)**, 153[3]-ე მუხლის 1-ი ნაწილის (**გარე ვაჭრობა შესაბამისი ნებართვის გარეშე**); 148-ე მუხლის (**თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიის კეთილმოწყობის წესების დარღვევა**) საფუძველზე ზედამხედველობის სამსახურის მიერ ოფიციალური წერილობითი გაფრთხილება ჩაბარდა 14 ერთეულ მოქალაქეს. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახურის თანამშრომელთან ერთად შემოწმებულია 12 ერთეული სილამაზის სალონი.

ზედამხედველობის სამსახური აქტიურად არის ჩართული სტიქიური მოვლენების შედეგად მიყენებული ზარალის დადგენის, საცხოვრებელი სახლების მდგომარეობის შემსწავლელი, ხე-მცენარეების დეკორატიული გადაბელვითი სამუშაოების და თვითნებურად დაკავებული მიწის ნაკვეთების საკუთრების აღიარების კომისიებში.

ივნისის თვიდან განახლდა დასუფთავების მოსაკრებელთან დაკავშირებით ხელშეკრულებები, სულ გაფორმდა 210 ხელშეკრულება .

იანვრის თვიდან დღემდე ადგილობრივ ბიუჯეტში შემოსულია **26.499** ლ.

სულ საანგარიშო პერიოდში ზედამხედველობის სამსახურის მიერ ადგ. ბიუჯეტში შემოსულია **101.876** ლარი.

<u>ასევე წარმოგიდგენთ მერის პირველი მოადგილის თავჯდომარეობით კომისიების მუშაობის შესახებ გაწეულ ანგარიშს:</u>

მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, შეჩერებისა და აღდგენის მიზნით შექმნილი საბჭო

საანგარიშო პერიოდში ჩატარებული იქნა მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭების მიზნით მთის საბჭოს 28 სხდომა. სტატუსი მიენიჭა 830 მოქალაქეს, უარი ეთქვა 11-ს იმის გამო, რომ არ დადგინდა მათი მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად ცხოვრების ფაქტი. წლის განმავლობაში სტატუსი შეუწყდა 24 მოქალაქეს გარდაცვალების გამო. ამ ეტაპზე კანონმდებლობის შესაბამისად მიმდინარეობს სატატუსმინიჭებული მოქალაქეების მონიტორინგი.

პირის ტყიბულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრების (ყოფნის) დამდგენი კომისია

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა „პირის ტყიბულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრების (ყოფნის) ფაქტის დამდგენი კომისიის“ ერთი სხდომა და კომისიის დადგენილებით ერთ პირს დაუდგინდა 1993 წლის 31 მარტისათვის საქართველოში ყოფნის ფაქტი. რომლის საფუძველზეც შესაბამისს პიროვნებას მიენიჭა საქართველოს მოქალაქეობა.

ტყიბულის მუნიციპალიტეტის თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისია

მოგახსენებთ, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან 2019 წლის განმავლობაში აღიარების კომისიაში შემოვიდა 173 განცხადება თანდართული დოკუმენტაციით. ამასთან, კომისიამ საანგარიშო პერიოდში მთლიანობაში განიხილა წინა წლებში შემოსული განცხადებებიც. წლის განმავლობაში შემოსული 173 განცხადებიდან დადებითად გადაწყდა 91 განცხადება და გაიცა საკუთრების მოწმობები. უარის გადაწყვეტილება იქნა მიღებულია 47 განაცხადზე, ხოლო განუხილველად დარჩენის გადაწყვეტილება იქნა მიღებული 18 განაცხადზე. ასევე საანგარიშო პერიოდში განხილული იქნა წინა წლებში შემოსული 643 განცხადება. დადებითი გადაწყვეტილებაა მიღებული- 237, უარყოფითი-263, განუხილველად დარჩა - 52 (დაინტერესებული პირის მიერ დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის გამო). ადმინისტრაციული წარმოება შეწყდა 87 განაცხადზე, წარმოებაშია- 21.

კომისიის სამდივნო ყოველდღიურ რეჟიმში ახდენდა შემოსული განცხადებების წინასწარ განხილვა-დახარისხებას. ადგილზე მისვლით ამოწმებდა შესაბამისს მიწის ნაკვეთებს. მეზობლების გამოკითხვით, გამგებლის წარმომადგენლის (შესაბამისი ნივთის ადგილმდებარეობის მიხედვით) განმარტებების საფუძველზე ადგენდა დაინტერესებული პირის მიერ მითითებული უძრავი ნივთის თვითნებურად დაკავებისა და სარგებლობის ფაქტს (კანონმდებლობით გათვალისწინებული წესების დაცვით), კომისიას წარუდგენდა შესაბამისს ფოტომასალას, ასევე საჭიროების შემთხვევაში აქტს მიწის ნაკვეთის რეალური დანიშნულებისა და კატეგორიის შესახებ. ყოველივე ეს კომისიას აძლევდა იმის საშუალებას, რომ დაედგინა უძრავი ნივთით შემოწმების მომენტშიც და ზემოთხსენებული კანონის ამოქმედებამდე ნამდვილად სარგებლობდა თუ არა დაინტერესებული პირი. საჭიროების შემთხვევაში (ძალიან ხშირად) ხდება წარმოდგენილი საკადასტრო აზომვითი/აგეგმვითი ნახაზების დაკორექტირება. წერილობით ხდება ინფორმაციის მოპოვება შესაბამისი უძრავი ნივთების თაობაზე, როგორც მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს შესაბამისი სამსახურებიდან, ასევე წყალ-კანალის, ენერგოკომპანიის, კავშირგაბმულობის და ლიცენზიის მფლობელი დაწესებულების

ხელმძღვანელებიდან იმის შესახებ, რომ არიან თუ არა თანახმა შესაბამისი უძრავი ნივთი აღიარებული იქნას დაინტერესებული პირის საკუთრებად. ამის შემდეგ დაინტერესებული პირი ვალდებულია წარმოადგინოს ორი უახლოესი მეზობლის ნოტარიულად დამოწმებული განცხადება იმის შესახებ, რომ შესაბამისი პირი და მისი ოჯახის წევრები ნამდვილად სარგებლობენ მითითებული მიწის ნაკვეთებით და არ ყავთ მოდავე. შემდეგ ხდება საკითხების კომისიის სხდომაზე განხილვა.

მიუხედავად ბევრი გამოწვევისა, მთავარ ამოცანად რჩება ადგილობრივი ეკონომიკის განვითარება და ადგილობრივი ბიუჯეტის ზრდა. მისასალმებელია საქართველოს მთავრობის ინიციატივა დეცენტრალიზაციასთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტებისათვის მეტი უფლებამოსილების მინიჭების კუთხით. აღნიშნული მოგვცემს შესაძლებლობას უკეთ გადაიჭრას ადგილობრივი მოსახლეობის პრობლემები.

ნატალია კობახიძე

საკრებულოს თავმჯდომარე

ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულო